

ଫୋଟମ

კლასი VI

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

სანდრა მ. ჰამფრის მიხედვით


ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი წებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

მე დიტო მქვია. თუმცა ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სამი
სახელი უნდა მერქვას, რადგან სამი სხვადასხვა ადამიანი
მგონია თავი.



მაგრამ მოდით, ჯერ ჩემს ახალ სკოლაზე მოგიყვებით. კარგი სკოლაა. დიდი ეზო და ორი სტადიონი აქვს. ერთი თვეა, რაც აქ გადმოვედი. სკოლის შეცვლა სულ არ მინდოდა. ყველა მეგობარი ძველ სკოლაში მყავს. მაგრამ ბინა შევიცვალეთ და ასე მოვხვდი აქ. კლასში ჯერ ყველას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ თუ დააკვირდებით, უცემ მიხვდებით, მოსწავლეები სამად არიან დაჯგუფებულნი: ჭკვიანებად, ჩვეულებრივებად და პოპულარულებად.





ჭკვიანები ერთად სხედან, ჩვეულებრივებიც – ერთად და პოპულარულებიც – ერთად. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დასვენებებზე ან როცა ჯგუფში ვმუშაობთ რამე პროექტზე. არა მგონია, ადამიანები ასე უნდა იყვნენ დაჯგუფებულები. მაგრამ ჩვენს კლასში ასე ხდება და, ალბათ, სულ ასე იქნება. მამუკა პოპულარული მოსწავლეების ჯგუფშია. ის ამ სკოლაში გადმოსვლის პირველივე დღეს გავიცანი. გავიცანი რა?! თვითონ გამიცნო. ცოტა ხნით მეც ვმეგობრობდი მისი ჯგუფის ბავშვებთან.



მაგრამ იყო ამაში რაღაც არასწორი. მათ ხომ, როგორც წესი, გამორჩეულად აცვიათ! მე კი ხან კარგად მაცვია, ხან – ისე რა! ისინი სპორტს მისდევენ, მე კი სწავლა და კოსმოსის შესახებ ფილმები უფრო მაინტერესებს. თუმცა, რადგან მათთან ვმეგობრობდი, ამ ინტერესს ვმალავდი. მთელი კვირა ჩემი ახალი მეგობრები მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, თუ ვის რომელი ბრენდის ჯინსები ეცვა ან რომელ წვეულებაზე აპირებდნენ მისვლას. ხმაურიანი შეკრებები მაინცდამაინც არ მიზიდავს, მაგრამ რადგან

გუნდის წევრი უნდა ვყოფილიყავი, მეც ვსაუბრობდი. ორშაბათობით წინა შაბათ-კვირის წვეულებაზე ვლაპარა-კობდით, პარასკეობით კი – მომავალი კვირის წვეულებე-ბზე. უნდა გითხრათ, რომ ასეთ დროს თითქოს ჩემს თავს ვერ ვცნობდი. თუმცა მაინც ვაგრძელებდი ამ ბიჭებთან მეგობრობას, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს მაგარი რამ იყო. თან მინდოდა, მამუკას ჯგუფის წევრი ვყოფილიყავი.

მერე, ცოტა ხნით, ჭკვიანებთანაც ვმეგობრობდი. ვერ ჩავენერე მათ წრეში. ესენი მართლა ძალიან ჭკვიანები აღმოჩნდნენ! სულ კითხულობდნენ და სამეცნიერო პრო-ექტებს ამზადებდნენ. ჩემი მეგობარი რუსა მათ „ტვინიკოსებს“ უწოდებს. თვითონაც ამ ჯგუფის წევრია. 10-იანზე დაბალი ნიშანი არასდროს არაფერში მიუღია. მე საერთოდ კარგად ვსწავლობ, მაგრამ ასე კარგადაც ვერა. რუსას ჭადრაკსაც კი ვერ ვეთამაშები. ვიცი, რომ ექვს სვლაში მომიგებს, შეიძლება – ხუთშიც. მოკლედ, ვერც ამ ჯგუფის წევრად ვგრძნობდი თავს. ისეთი შეგრ-ძნება მქონდა, თითქოს ჩემს თავს გამუდმებით ვცდიდი, მაგრამ მათ დონემდე მაინც ვერ მივდიოდი. ისინი ამას არასდროს მაგრძნობინებდნენ, მაგრამ მე ხომ ვიცოდი!

იცით, როცა მამუკას მეგობრებთან ვარ, სხვანაირად ვიქცევი, ხოლო რუსასა და მის ჯგუფთან სულ სხვანაი-რად უნდა მოვიქცე. არც ერთ მათვანთან ყოფნისას არ მგონია, რომ ნამდვილი „მე“ ვარ, თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ. შემდეგ გადავწყვიტე ჩვეულებრივებთან დავმეგობრებულიყავი. ყოველ შემთხვევაში, უნდა მეცა-და მაინც. აქ ჩემი მეგობარი ალექსანდრეა. არაფერი გამომივიდა. აქაც ვერ ვგრძნობდი თავს ჯგუფის წევრად. მათთან ყოფნა რაღაცნაირად უინტერესო და მოსაწყენი



იყო. თან, ამასობაში, ბევრი რამე გამოვტოვე პოპულარულების ამბებიდან და კიდევ უფრო გამიჭირდა მამუკასთან ურთიერთობის აწყობა. არა, არც მას უთქვამს რამე ჩემთვის და – არც მის მეგობრებს, მაგრამ მე თვითონ მივიჩნევდი თავს ზედმეტად. თხუთმეტ წუთს მაინც ვიდექი ჩუმად და ვერაფრით ჩავერთე საუბარში. მერე მობილური ამოვილე, ვითომ ვიღაცამ მესიჯი გამომიგზავნა და სასწრაფო საქმე გამომიჩნდა. უცებ გამოვემშვიდობე. მომავალ შაბათს პარალელური კლასელის დაბადების დღეზე აპირებდნენ წასვლას.

– დიმა, რას იზამ, წამოხვალ? – მკითხა მამუკამ.

— არა, რაღაც საქმე მაქვს. სხვა დროს იყოს! — მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

— ეგ „სხვა დრო“ ზუსტად ერთი წლის მერე იქნება, იცოდე! — გაიცინა მომავალმა იუბილარმა.

ისეთი არაფერი უთქვამს, მართალი იყო. მაგრამ რატომლაც მაინც მეწყინა. სწრაფად გამოვემშვიდობე...

სიმართლე ის არის, რომ სამივე ჯგუფთან მაქვს რაღაც საერთო, მაგრამ სრულად არც ერთის წევრობა არ გა-მომდის. მაგალითად, მიყვარს სათევზაოდ სიარული ალექსანდრესთან ერთად. მდინარეზე შეიძლება მთელი დღე მშვიდად გაატარო და კარგადაც გაერთო. ოღონდ ჩვეულებრივ დღეებში სკოლაში მასთან ყოფნა რაღაცნაირად მოსაწყენია. სულ თევზაობაზე ხომ არ ვისაუბრებთ?! მამუკასთან ერთად ფეხბურთის ყურება მომწონს. მაგრად ერკვევა, ემოციური გულშემატკივარია და მისგან მეც ბევრს ვსწავლობ. თუ ფეხბურთზე რამე ვიცი, მისი დამსახურებაა. მასთან ერთად თამაშის ყურება საინტერესოცაა და სახალისოც, მაგრამ ეს ყოველდღე ხომ არ ხდება?!

ჰო, კიდევ მომწონს ისტორიის სწავლა რუსასთან ერთად. მას უამრავი წიგნი აქვს წაკითხული ძველ ქვეყნებზე და მეცადინეობისას ისეთ ამბებს მიყვება, მე ფილმებშიც რომ არ მინახავს. რა გინდა, რომ არ იცოდეს... მაგრამ რატომლაც მგონია, რომ ერთ დღესაც მას ჩემთან მეგობრობა აღარ მოუნდება. მე შეიძლება სულაც არ ვარ მისთვის საინტერესო.

მოკლედ, ისე გამოდის, რომ ბოლომდე არც ერთ ჯგუფს არ ვეკუთვნი. ახლა ისევ მამუკა მიწვევს თავის ჯგუფში, მაგრამ ალექსანდრეს ან რუსას რა ვუყო?

იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

შეკითხვები ფიქრისა და მსჯელობისთვის:

- რა პრობლემის წინაშე დგას მთავარი გმირი?
- შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს დიტო?
- შენს სკოლაში როგორი ჯგუფებია?
- შენ თვითონ თუ ხარ რომელიმე ჯგუფის წევრი?
- როგორ გგონია, რომელ ჯგუფშია შენი ადგილი და რატომ?
 - შენი აზრით, რატომ ქმნიან ბავშვები სკოლაში ჯგუფებს?

წარმოიდგინე თავი პერსონაჟის ადგილას.

- შენ თუ ყოფილხარ მსგავს სიტუაციაში?